საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევ. [illegible] პარტიის

№ 330 1918 წ. პარასკევი სექტემბრის 13. № 330

# სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

**სენაკის მაზრა და სამი მეოთხედი ზუგდიდის მაზრისა იწმინდა ბრბოებისაგან. პერონ-კამბრეს ფრონტზე გერმანელებმა 3000 კაცი დაატყვევეს. პიკას ფრონტზე ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა.**

**სექტ. 15-ს ტფილისში გაიხსნება საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიის კონფერენცია.**


## გამოვიდა და იყიდება პირველი ქართული ლატარიის 5.000.000 მანეთის ბილეთები

რომლის წმინდა შემოსავალიც გადადებულია ქართულ

**უნივერსიტეტისა და თეატრისათვის**

პირობები:

1. გამოცემულია ორასი ათასი ბილეთი, ხუთი მილიონი მან. ღირებულობისა, ოთხას სერიად. ყოველ სერიაში ხუთასი ბილეთია თითო ბილეთში ხუთი კუპონია. ბილეთი ოცდა ხუთი მან. ღირს. კუპონი ხუთი მან.

2. მოგების დასაფარავად გადადებულია ნახევარი მილიონი მანეთი, და მოგებათა რაოდენობა ნაწილდება ამ გვარად:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | მოგება | 100.000 მან. | 100.000 მან. |
| 1 | „ | 50,000 „ | 50,000 „ |
| 1 | „ | 25,000 „ | 25,000 „ |
| 2 | „ | 10,000 „ | 20,000 „ |
| 3 | „ | 5,000 „ | 15,000 „ |
| 5 | „ | 1,000 „ | 5,000 „ |
| 50 | „ | 500 „ | 25,000 „ |
| 180 | „ | 250 „ | 45,000 „ |
| 2150 | „ | 100 „ | 215,000 „ |

სულ 2393 მომგებიანი ბილეთი 500,000 მან.

3. ბილეთის ან კუპონის პატრონი ის არის, ვისაც ბილეთი ან კუპონი ხელთ აქვს. არავითარი განცხადება ბილეთის ან კუპონის დაკარგვის შესახებ შეწყნარებული არ იქნება.

4. ლატარია გათამაშებული იქნება 25 დეკემბერს 1918 წ. და დაესწრებიან წარმომადგენელნი: საქართველოს ეროვნული საბჭოსი, უმაღლესი მთავრობისა, ტფ. ქალ. თვითმართველობისა, ერობისა, სახელმწიფო და ამიერ-კავკასიის ბანკებისა; ლატარიის მომწყობი საბჭო და გამგეობა.

5. მოგების ნუსხა გამოცხადებული იქნება „საქართველოს რესპუბლიკაში“ ამის შემდეგ მოგების მისაღებად უნდა წარმოადგინონ ლატარიის გამგეობაში ტფილისში, თავიანთი ბილეთები ან კუპონები მეპატრონეებმა; ხვედრ მოგებას მიიღებენ არა უგვიანეს 30 დღისა.

6. ვინც მოგების ნუსხის გამოცხადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ წარმოადგენს თავის მომგებიან ბილეთს ან კუპონს, მისი ხვედრი მოგება შემოწირულებად ჩაითვლება.

**ბილეთები იყიდება ტფილისში:** ამიერ-კავკასიის ბანკში, სათავადაზნაურო ბანკში, ვოლგა-კამის ბანკში (ლორის მელიქოვის ქუჩა). სამეურნეო ბანკში—სასახლის ქუჩა; კოოპ. „მეურნეში“—პუშკინის ბაღთან, ძველი სემინარიის შენობაში; „კომერსანტის“ მაღაზიაში, გოლოვინის პრ. № 10; ქართულ კლუბში, მეორე ქართულ კლუბში, წერა-კითხვის გამავრ. საზოგ. მაღაზიაში, მსახიობთა კავშირის კანტორაში, ყველა ქართულ რედაქციებში, კიკნაძის წიგნის მაღაზიაში, აფთიაქებში: ახვლედიანისა, რეუტოვისა და ქალაქისა, „ბლან ე ნუარ“-ში გოლოვ. № 10, „კახეთი“-ს და „საერო“-ს კანტორებში, „კაფე დე ლოპერა“-ში, „ძმურ ნუგეშში“, „ქართლის“ და „იმედი“-ს რესტორანებში. **პროვინციის** მისამართები ცალკე იქნება გამოცხადებული.

**გაფრთხილება მყიდველთ:** ნაყიდ ბილეთებს არაფერი არ უნდა ჩამოეჭრას! ყოველივე ცნობებისა და საქმისათვის უნდა მიმართონ ლატარიის გამგე-დირექტორს **სოლომონ ახვლედიანს.**

**ლატარიის გამგეობა** იმყოფება გოლ. პრ. № 34. ღიაა დილის 10—3 ს-მდე. ტელეფონი 8—28, ან 6—40.

საღამოს ტელეფონი—15—17. 1311



მწუხარებით გულმოკლული ნინო თომას ასული აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამეგრელოში ბრბოებთან ბრძოლაში ტრაღიკულად დაიღუპა მისი საყვარელი და ძვირფასი მეუღლე

**კაპიტანი არჩილ დიმიტრის ძე საყვარელიძე.**

პანაშვიდები ყოველ დღე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, საღამოს 6 ს. ჩამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

დედა მარიამ, და-ძმები: დარია, სოფიო, ეკატერინე, ზაქარია, ივანე და მიხეილ საყვარელიძენი აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და საზოგადოებას, რომ სამეგრელოში ბრბოებთან ბრძოლაში ტრაღიკულად დაიღუპა პირველისა უძვირფასესი შვილი და მეორეთა საყვარელი ძმა კაპიტანი

**არჩილ დიმიტრის ძე საყვარელიძე.**

პანაშვიდები ყოველ დღე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, საღამოს 6 ს. ჩამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

სიძეები: ვლადიმერ ყანჩაველი, ალექსანდრე მჭედლიშვილი, ვლადიმერ ლაზხაური და რძალი მარიამ საყვარელიძისა აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და საზოგადოებას, რომ სამეგრელოში ბრბოებთან ბრძოლაში ტრაღიკულად დაიღუპა პირველთა ძვირფასი ცოლის ძმა და უკანასკნელის მაზლი კაპიტანი

**არჩილ დიმიტრის ძე საყვარელიძე.**

პანაშვიდები ყოველ დღე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, საღამოს 6 ს. ჩამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ტფილისის ორგანიზაციები აუწყებენ საზოგადოებას, რომ სამეგრელოში ტრაღიკულად დაიღუპა ძვირფასი ამხანაგი

**კაპიტანი არჩილ საყვარელიძე.**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. 1312

შვილები: ილიკო, ვასო, რძლები: მინადორა, ლიდია, შვილიშვილები: ვალიკო, მარუსია, გიორგი, ნინო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**მარიამ მიხეილის ასული ტურაბელიძე.**

გასვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული, პანაშვიდი ყოველ დღე. ქუთაისი, მესხეთის ქუჩა საკუთარ სახლებში 989

ნიკო და ბარნაბა ვახტანგის-ძენი ჯაყელები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ ძვირფასი დედის

**მ ა რ თ ა ს**

გარდაცვალებას გამოსვენება დანიშნულია შაბათს სექტემბრის 14-ს საყვავისტყის სასაფლაოზე დილის ათ საათზე. 1314

გულდაუთქმელი მატრონა სიმონის ასული გვერდწითელი, ძმები: კონსტანტინე, თომა და პავლე თომას-ძენი და და ანა თომას ასული ციციშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ენკენისთვის 11-ს საღამოს 8 ს. გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი დისწული, ხოლო უკანასკნელთა ძვირფასი და, საქალებო ინსტიტუტის მე-5 კლასის მოწაფე

**ნინო თომას ასული ციციშვილი**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 ს. ინსტიტუტშივე. გამოსვენება მოხდება იქიდანვე შაბათს ენკენისთვის 14-ს დილის 9 ს. ქვაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

გიგუცა, გძო, სანდრო, გიორგი, არჩილ და ვასო რატიშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველთა ძმისწულის და უკანასკნელთა ბიძაშვილის

**თ ა მ ა რ ი ს**

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება შაბათს ენკენისთვის 14-ს ს. ქსოვრისში. 1000

შალვა დხვითის-ძე რატიშვილი მეუღლითურთ და მიხეილ ელიაშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველნი შვილის და მეორე მეუღლის

**თ ა მ ა რ ი ს**

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას ენკენისთვის 11-ს და აფლავება მოხდება შაბათს ენკენისთვის 14-ს ს. ქსოვრისში. 1000

დღეს, ენკენისთვის 13-ს (31), დილის 10 საათზე, ქვაშვეთის წმ გიორგის ეკლესიაში იქნება გადახდილი ორი წლის თავის წირვა და პანაშვიდი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის მასწავლებლის

**ისიდორე მირიანის ძე გიგინეიშვილის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე მარგარიტა და და გოგოლა 996

## ტფილისის რეალურ სასწავლებლის დირექტორი

ამით აცხადებს, რომ:

1. ძირითადი განყოფილებები და კლასები (საანბანო, უმცროსი და უფროსი მოსამზადებელი განყოფილებები და 1, 2, 3 და 4 კლასები) გაეროვნებულია და ყველა საგანი ქართულ ენაზე ისწავლება.

2. ყველა პარალელურ განყოფილებებში და კლასებში და აგრეთვე ძირითად 5, 6, 7 კლასებში სწავლა რჩება რუსულ ენაზე.

3. მისაღები და ხელახლა გამოცდები დაიწყება ენკენისთვის 20-ს დილის 9 საათიდამ

გამოცდების განწესრიგება და ყველა ცნობების მიღება შეიძლება სკოლის კანცელარიაში. 989

## ვაჟთა და ქალთა გიმნაზია ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

ძ ს ე ნ ი ა ს ქ. № 11.

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს **უფასო სახელმძღვანელოებს.** ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყება 2 ენკენისთვიდან.

2002 გიმნაზიის გამგე **ს. ნ შულგინი.**


## ტფილისი, სექტემბრის 13

**სპეკულიაციის და სურსათის საკითხი პარლამენტში.**

დღეს საქართველოს ეროვნულ საბჭოში უნდა გადაწყდეს იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი კანონ პროექტი სპეკულიაციის საწინააღმდეგოდ, ხოლო პასუხი გაეცეს ახმეტელის შეკითხვას სურსათის სიმცირის ნიადაგზე არსებული განგაშის მოსასპობად. არსებითად ორივე ეს შეკითხვა მთავრობის სასურსათო პოლიტიკას ეხება და მნიშვნელობასაც ასეთივე ფართო ხასიათი აქვს.

იუსტიციის სამინისტროს კანონ-პროექტი რგოლია იმ ჯაჭვისა, რომელიც რესპუბლიკის მთავრობამ გამოსჭედა საქართველოს მტრების საწინააღმდეგოდ. სასტიკი ზომა, სიმკაცრე, რეპრესია—აი სული ხსენებული კანონ პროექტისა და იმდენად, რამდენადაც ასეთი პოლიტიკა საზოგადოდ მისაღებია ავვირ ახსნილ წრეების ასალაგმავად, იმდენად საზოგადოება სიამოვნებით მიიღებს სპეკულიანტების საწინააღმდეგო ახალ კანონს.

ჩვენ ძალიან კარგად ვიცით: ისეთი საკითხი, როგორც არის სურსათის საქმე, ვერ მოგვარდება რეპრესიებით და ვინც ხსენებულ კანონპროექტს შეხედავს, როგორც მთავრობის ერთად ერთს და უმთავრეს ზომას—ოდნავადაც ვერ გაიგებს მთავრობის შემოქმედებას.

ახალი კანონ-პროექტი მხოლოდ ერთის მხრივ ებრძვის სპეკულიაციას. ვაჭრობამ საზღაპრო ხასიათი მიიღო, სპეკულიაციამ მოარულ სენის ხასიათი მიიღო, საზოგადოების ყოველ წრეში გაჩნდნენ სპეკულიანტები და ამ უძსზგავსოების მოსასპობად მთავრობას სურს იბრძოლოს. ჯარიმა ასი ათას მანეთამდე, ათი წლის კატორღა, საქართველოს საზღვრებიდან სპეკულიანტების გაძევება—აი მთავრობის საშუალება სპეკულიაციის მოსასპობად. რასაკვირველია ამ ზომას სარგებლობის მოტანა შეეძლება, თუ ჩვენი ადმინისტრაცია პირნათლად შეასრულებს თავის დანავალებს, კრიჭაში ჩაუდგება სპეკულიანტებს და გასაქანს არ მისცემს ხალხის გასაძარცვავლად. ნურავის ჰგონია, რომ საქონლის მოძრაობისათვის საჭიროა სპეკულიაცია და სპეკულიანტები. ნორმალურ მოგებას და წესიერ ვაჭრობას ჩვენი მთავრობა არა თუ არ შეუშლის ხელს, პირიქით, ყოველმხრივ დაეხმარება და შეეცდება მოუპოვოს მას განვითარების საშუალებანი.

მაგრამ ამ კანონმა რომ რეალური ნაყოფი მოიტანოს, ამისათვის საჭიროა პარლამენტმა დღეინდელი შეკითხვა მთავრობისადმი გამოიყენოს როგორც მასალა სასურსათო პოლიტიკის გადასაშინჯად და საბოლოოდ გადადგას ნაბიჯი ამ საქმის მოსაგვარებლად. დღეს სასურსათო სამინისტრო სრულიად გამოურკვეველ მდგომარეობაშია. არის მითქმა-მოთქმა, განგაში, ათასგვარ პლანების დასახვა, მაგრამ არ არის ერთი მიღებული ზომა სახელმძღვანელოდ. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. შეუძლებელია გაურკვევლობის წიაღში დავტოვოთ მთელი ეწყება, სადაც არავინ იცის, როდემდის იარსებებს, ვინ როდის მოსპობს მას. ამ პირობებში მუშაობა—ვიმეორებთ—შეუძლებელია, საქმე ფერხდება და დღეს კი სწორედ ისეთი მომენტია, როდესაც ყოვლად წარმოუდგენელია გაჩერება და წუთის დაკარგვა. ყოველგვარი ჰირნახული ეხლა უნდა მოიკრიბოს, მოგვარდეს, ვაჭარ სპეკულიანტები უკვე გავიდნენ სოფლად და დაიბევეს ერბო, ყველი, პური, სიმინდი, ხილი და ყველაფერი. ამ დროს სურსათის სამინისტროს მოუწყობლობა ყოვლად შეუფერებელია და დამასამარებელია ჩვენი სახელმწიფოსთვის.

მთავრობის მოვალეობას შეადგენს დღესვე გაარჩიოს ეს საქმე და სათანადო მიმართულება მისცეს მას. სურსათის უწყებამ სული უნდა მოითქვას, აღდგეს მისი უნარი და დააგროვოს სასურსათო მასალა, აი ამ დროს სპეკულიაციის საწინააღმდეგოდ შექმნილი კანონ-პროექტი მიზანს მიაღწევს, სულს შეუხუთავს სავაჭრო ვაკხანალიას და ჩვენი ხალხიც სულს მოითქვამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტფილისის კონსერვატორია

მისაღები გამოცდები დანიშნულია სექტემბრის 13-დან.

თხოვნები მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს.-მდე.

ასწავლიან: ფორტეპიანოზე, სკრიპკაზე, სიმღერას, ვიოლონჩელზე, ყველა ხისა და თითბრის ინსტრუმენტებზე, მუს. თეორიას და სოლფეჯიოს, მსოფლიო მუსიკ. ისტორიას და სხვა.

ახლად დაარსდა შემდეგი კლასები: სპეციალური ჰარმონია (კლ. პეტროგრადის კონსერვატორიის პროფეს. მ. მ. ჩერნოვისა), ვოკალური ანსამბლის კლასი (პროფეს. ნ. ნ. ჩერეპნინისა), ოპერის კლასი. ქართული სახალხო საეკლესიო მუსიკის ისტორია (უფრ. მასწავლ. დ. ი. არაყიშვილისა), სომხური საეკლესიო მუსიკის ისტორია (ა. გ. ტერ-გედევანისა), მუსიკის ისტორიის კურსი (ლექტორი ს. ჩემოდონოვი), ესთეტიკა (ლექტ. ს. გოროდეცკი).

განახლებული იქნება (პროფესორ ნ. ნ. ჩერეპნინის ხელმძღვანელობით) ორკესტრის და გუნდის კლასები.

სწავლა დაიწყება სექტემბრის 20-ს.

1296 დირექტორი ნ. ნ. ჩერეპნინი.

# ტფილისის ქალაქის გამგეობის მოწოდება ტფილისის მოქალაქეთადმი

მოქალაქენო! სათბობი მასალის ნაკლებობის გამო სულ ახლო მომავალში ქალაქი შეიძლება ბნელეთმა მოიცვას. საჭიროა მოქალაქეთა ენერგიული დახმარება, რომ ეს ვადა გავაგრძელოთ. ამისათვის ქალაქი სასწრაფო ზომებს ღებულობს: მთელი ქალაქი გაყოფილი იქნება უბნებად; თითოეულ უბანს ელექტრო-ტეხნიკოსი ეყოლება, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს ელექტრონის ენერგიის ხარჯს შემდეგი ნორმებით:

საცხოვრებელ.ოთახში შეიძლება მხოლოდ ერთ ადგილას იყოს სინათლე, ისიც არა უმეტეს 25 სანთლიან ლამპისა.

კერძო ბინებში, მაღაზიებში, გასართობ დაწესებულებებში, სასტუმროებში, საპარიკმახეროსა და რესტორანებში აკრძალულია ელექტრონის ენერგიის ხმარება სხვა საჭიროებისათვის, გარდა განათებისა.

მაღაზიებში, გასართობ დაწესებულებებში, რესტორანებში და სხვა თვითოეულ ათას ოთხკუთხ საჟენზე უნდა ენთოს არა უმეტეს 4 სანთლისა.

აუდიტორიებში, სამკითხველოებში, წიგნთსაცავებში, სასწავლებლებში არა უმეტეს 4 სანთლისა ოთხკუთხ საჟენზე მთელი ბინისა.

აკრძალულია ვიტრინების და რეკლამების განათება და სხვა სასინათლო ეფექტი

ბაღებში შეიძლება არა უმეტეს ერთი სანთლისა თვითოეულ ოთხკუთხ საჟენზე.

ზემო აღნიშნულ ნორმას გადარჩენილი ლამპები დაკირული ან დაბეჭდილი იქნება მონტიორის მიერ, რომელსაც ქალაქის გამგეობის მოწმობა ექნება თან. დასატოვებელ სინათლის ნორმებს საუბნო ელექტრო-ტეხნიკოსები განსაზღვრავენ: მათაც ქალ. გამგეობის მოწმობა უნდა ჰქონდეთ თან. საუბნო ელექტრო-ტეხნიკოსებს უფლება აქვთ სრულიად მოუსპონ სინათლე იმ აბონენტებს, რომელნიც ბოროტად სარგებლობენ სინათლით.

ზემო აღნიშნულ ნორმების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული მე-29 მუხლის ძალით და სინათლეც მოესპობათ.

ქალაქის გამგეობა სთხოვს მოქალაქეებს მშვიდად შეხვდნენ ამ ზომებს, რომელთა ერთად-ერთი მიზანია საზამთროდ იქნას დაჭერილი თადარიგი ქუჩების გასანათებლად.

ქალაქის გამგეობა წინადადებას აძლევს მოქალაქეთ დახმარება აღმოუჩინონ ელექტრო-ტეხნიკურ კომისიებს მათ მუშაობაში. 1313

# სახელმწიფო თეატრი

ოპერის სეზონი 1918 წ. დირექცია ნ. ლ. ლევიცკისა.

დასის შემადგენლობა (ალფავიტით)

**სოპრანო:**
ვოლ-ლევიცკისა ა. ს.
ვიშემირსკაია მ. მ.
გარინსკაია ლ. კ.
გედევანიშვილი მ. ვ.
ზელინსკაია ფ. ს.
კალანდაძე-აგასოვისა ო. ს.
მანდენოვა ს. გ.
ორლოვა ფ. ს.
განნა-სკვორეცკაია გ. ლ.
ფირსოვა ა. ნ.
შვამბერგი ტ. ა.

**მეცო სოპრანო:**
ვლადინა ვ. ს.
დობროვოლსკაია ვ. ი.
მოროზოვა ო. კ.
ოვსიანნიკოვა ლ. ა.
სპიტკო ე. ა.
იანსა მ. ა.

**ტენორები:**
ბერიზინი ვ. მ.
ზალიპსკი ბ. ი.
ზვიაგინი ვ. ა.
კანშინი ა. მ.
კურბატოვი ა. ვ.
მალჩანოვი ი. პ.
მარკოვი მ. ს.

**ბარიტონები:**
ბალაბანი ა. ა.
ვრონსკი ე. ა.
ზუბარევი ნ. გ.
ინაშვილი ა. ი.
ორდა ტ. ს.
ეზროვი ნ. ს.

**ბანები:**
დემიანენკო ა. ა.
ისეცკი ლ. ნ.
ორლოვი ნ. ნ.
ნიკოლსკი ვ. ა.
საბინინი იუ. დ.

**დირიჟორები:**
სამოსუდი ია. ა.
სტოლერმანი ს. ა.
ჩერეპნინი ნ. ნ.
ცენოვსკი ა. ა.

**რეჟისორები:**
დუმა დ. ა.

**თანაშემწე:**
გურესი ა. ა.
ფიჩხულოვი კ. ნ.

**სუფლიორები:**
ნიკოლაევი ნ. ი.
ტესლერი ი. ა.

**ხორმეისტერები:**
კორშონი ვ. ა.

**თანაშემწე:**
ფალიაშვილისა ი. პ.

**კონცერტმეისტერშები:**
საბინ-გუს ე. დ.
სოკოლოვისა ლ. ა.

ბალეტმეისტერი ვოკარეცი ს. ფ. პრიმა-ბალერინა ბაუერსაკს მ. ე. ორკესტრი 48 კაცი. ხორო 60 კაცი. ბალეტი. 24 კაცი—სოლისტი ორკესტრის გუზიკოვი. სამხატვრო განყოფილების გამგე მხატვარი ა. ა. ზალცმანი.

## სეზონი გახსნება

კვირას, სექტემბრის 15-ს, სექტემბრის 16 ს „ტანჰეიზერი", სამშაბათს „რიგოლეტო", ოთხშაბათს „ცარსკაია ნევესტა". კასსა ღიაა სექტემბრის 10-დან, 10—4 და 5—8 ს. 1314

**ვაძლევ** გაკვეთილებს ფრანგულ, გერმანულ და ლათინურ ენებისას. განათლება მიღებული მაქვს საზღვარ გარედ უმაღლეს სასწავლებელში. მოლაპარაკება შეიძლება დილის 9—11 ს. და საღამოს 6—8 ს. ბინა: კათოლიკეთა ქუჩა № 4 პატრ ემანუილ ვარდიძესთან. 998

# უკანასკნელი ცნობები

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

**ზუგდიდი.** სენაკის მაზრა და სამი მეოთხედი ზუგდიდისა გაიწმინდა ბრბოებისაგან. მეთაურების უმრავლესობამ იარაღი დაჰყარა. ურჩობენ წმინდა ყაჩაღები, რომელნიც მომწყვდეულნი არიან ენგურის მარცხენა ნაპირას. სამურზაყანოში სრული ანარქიაა.

**ტუაფსე.**

**კიევი,** 9—10 (ბერლინიდან). მოხალისეთა ლაშქარი განაგრძობს წინსვლას გელენჯიკის სამხრეთით შავი ზღვის სანაპიროებით და დღე ნახევრის სავალზეა ტუაფსედან.

—

**ალბულაღი.** 12 სექტემბერი. გენერალი წულუკიძე სამხედრო მინისტრს დეპეშით აუწყებს: სამხედრო საველე სასამართლომ დახვრეტა გადაუწყვიტა სოფ ახალშენის მცხოვრებს რეზო ფილიშვილს აგვისტოს 30-ს საქართველოს თავდასხმაში მონაწილეობისათვის, ალბულაღში დროებით მცხოვრებს გრიგ. კირზნერს შეიარაღებულ ორგანიზაციის მოწყობისა, 20 ივლისს კომისარიატზე და ორგანიზაციულად ჩვენს ჯარებზე თავდასხმისათვის, იგი აგრეთვე პროპაგანდას ეწეოდა და ხალხს ამხედრებდა საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. და სოფ. სამშვილდეს მცხოვრებს არშაკ ავეტისოვს ჩვენს ჯარზე თავდასხმისა და მე-6 პოლკის ოფიცრის სანიკიძის დატყვევებისთვის, რომელსაც განთავისუფლებისათვის ფული მოსთხოვა იარაღით ხელში. სასამართლოს განაჩენი უკვე მოვიყვანეთ სისრულეში. სოფ დაგენ-ნაჩრიდან კვლავ ვგზავნი ჯარში ჯარში გასაწვევ ახალგაზდობას 50 კაცს. გენ. წულუკიძე.

# ომის დეპეშები

**დასავლეთის ფრონტი.**

**ბერლინი.** 9—10. საღამოს ცნობა. პერონ-კამბრეს გზატკეცილის სამხრეთით ინგლისელთა ახალი იერიშები მოვიგერიეთ. მოვიგერიეთ აგრეთვე ფრანგების ნაწილობრივი იერიშები ამ —სენ-კანტენის გზატკეცილის ორივე მხრით ლეტთან ადგილობრივი ბრძოლებია.

**პარიზ**. 9—10 ამერიკის ოფიციადად ჩაიარა: მხოლოდ საარტილერიო ბრძოლა იყო ლორენისა და ვოგეზების რაიონში, იმ სექტორებში, რომელიც ჩვენი ჯარის მიერ არის დაკავებული.

**ბერლინი.** 9—11. ინგლისელთა იერიშების მოგერიების დროს იპრის სამხრეთით და ლაბასის არხის ჩრდილოეთით ტყვეები წამოვიყვანეთ. პერონ-კამბრეს გზატკეცილის სამხრეთით ინგლისელებმა იერიშები განაახლეს: იერიშებს სასტიკი ბრძოლა მოჰყვა გუზოკურტის სამხრეთით და ეპეისთან. ფრონტის ზოგიერთ ადგილას მტერმა ჩვენს მოწინავე პოზიციებს მიაღწია, მაგრამ კონტრ-იერიშებით იგი უკან გავრეკეთ. მტერმა 3000 ტყვე დაგვიტოვა. ჩვენ მოვიგერიეთ ფრანგების იერიშები, გამსენ-კვენტინის გზატკეცილის ორივე მხრით რომ მოიტანეს ძლიერი საარტილერიო მზადების შემდეგ. ელეტის ჩრდილოეთით ადგილობრივი ხასიათის ბრძოლაა ელეტსა და ენს შუა საარტილერიო ბრძოლა გაძლიერდა. საღამოს მტერმა შეტევა დაიწყო, მაგრამ უნაყოფოდ: ჩვენი ხაზების წინ დავამარცხეთ იგი.

**პარიზი** 9—11 გერმანელების კონტრიერიში, ვუპის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოტანილი. მოვიგერიეთ. ფრანგებმა ხელთ იგდეს ტყვიისმფრქვეველები და ტყვეები. ლიაფოსა და სელ-სიურ-ესნის რაიონში გერმანელები სექტემბრის 10 ღამით ექვსჯერ ეცადნენ ჩვენს პოზიციებს მოახლოვებულიყვნენ, მაგრამ მათ ყოველთვის უკან ვახევინებდით; ფრანგებმა 150 გერმანელი დაატყვევეს.

**ამერიკელების ცნობა** 9—11. ლორენის რაიონში ჩვენმა რაზმებმა ბრწყინვალე იერიში მიიტანეს მტრის პოზიციებზე, მის თხრილებში შეიჭრნენ, დიდი ზარალი მიაყენეს მტერს და ტყვეებიც წამოიყვანეს.

**ბერლინი** 9—11. საღამოს ცნობა ბრძოლის ფრონტეზე სიწყნარეა.

**იტალიის ფრონტი.**

**ვენა.** 9—11. აზიაგოს ცემზე, აზოლონის სექტორში მტრის მზვერავები დამარცხდნენ. იქ, სადაც მტერმა შესძლო არტილერიის დახმარებით ჩვენს თხრილებში შეჭრა, მე-99 ქვეითა პოლკმა კონტრიერიშით გარეკა. პიავას ფრონტზე სასტიკი ბრძოლა წარმოებს.

**პალესტინის ფრონტი.**

**სტამბოლი.** 9—11. ზღვის სანაპიროთი მოქმედება გაცხოველდა ზოგიერთ ადგილას ჩვენს ხაზებს მტრის ბატარეები და ნაღმის მფრქვეველები უშენდნენ. ჩვენი ხაზების წინ მზვერავთა შორის ბრძოლაა. ტულ-ქერმ-რამლეის რკ. გზის აღმოსავლეთით ერთი ჩვენი პატრული მტრის პოზიციებში შეიჭრა. მტრის მზვერავთა ერთი რაზმი ჩვენ სადარაჯოთა რკალში მოემწყვდა იორდანეს დასავლეთით და დიდად დაზარალდა.

# უცხოეთი

**ბერლინი** 9—10 (სევასტოპოლის რადიო სადგურიდან. „კიევსკაია მისლი" იტყობინება: ავსტრია-უნგრეთის სამხედრო უფროსებმა 300 მილ. კონტრიბუცია დაადვეს ქალ. ეკატერინოსლავს იმის გამო, რომ მცხოვრებლებმა არ აასრულეს ავსტრია-უნგრეთის სამხედრო უფროსების ბრძანება და იარაღი არ აიყარეს.

**ლონდონი.** 9—10 (ბერლინიდან). საადმირალო იუწყება რომ სექტემბრის 2-ს დიდი ნისლის გამო დაიღუპა ინგლისელების მმუსრავი. შემადგენლობა გადარჩა

# ახალი ამბავი

**არჯევანიძის სკოლაში,** წაღვერის ტყეში, მეცადინეობა გათავდა სექტემბრის 7-ს სულ იყო 28 ბავშვი; მათ შორის 17 ქალი და 11 ვაჟი. ქართველი სკოლაში იყო 8, რუსი—8, სომეხი—9, ოსი—1, პოლონელი 1 და იტალიელი —1. დღის განმავლობაში ბავშვები ერთობოდნენ: ქარგვით, გიმნასტიკით, პლასტიკურ ცეკვით, გალობით და ქსოვით. უვლიდნენ შინაურ ცხოველებს და ფრინველებს. არჯევანიძეს ხელმძღვანელობაში ეხმარებოდნენ: დები შარაშიძეები, მარო გეწაძის ქალი და ნ. პერფილიევისა. ბავშვები შესამჩნევად მოკეთდნენ მოიმატეს წონაში ე—18 გირვანქამდე. ბავშვებს ინახავდა უფასოდ ტფილისის თვითმართველობა.

**სტიპენდიები** ქ. შ. წ. კ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ განიხილა საკითხი სარაჯიშვილისა და ლოლობერიძის სახელობის სტიპენდიების შესახებ და დაადგინა: ლოლობერიძის სადავით ვლადიმერის ძე ნაცვლიშვილს, ხოლო სარაჯიშვილის სახელობის სამი სტიპენდია: სავლე აბულაძეს, ქსენია კაკაბაძეს და მუსტაფა კონწელიძეს. და იაკობ გოგებაშვილის სახელობის ერთი სტიპენდია—სვიმონ ჯანაშიას.

**წიგნებით დახმარება.** ქ. შ. წ. კ. გამგეობამ სხვა და სხვა სამეცნიერო წიგნებით დახმარება აღმოუჩინა ამ ჟამად გერმანიაში მოსწავლე ცხრა ქართველ კათოლიკე მოწაფეს.

**სწავლის დაწყება.** ქ. შ. წ. კ საზოგადოების ყველა სკოლებში სწავლა იწყება ენკენისთვის 20-ს.

**დანიშვნანი.** ქუთაისის კლას. გიმნაზიის მასწავლებელი ნ. მერაბიშვილი დაინიშნა ფოთის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორად; ფოთის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი ს. დანელია—ქუთ. კლ. გიმნაზიის დირექტორად; ქუთ. კლ. გიმნაზიის დირექტორის თან. ალმ. გედეონ წერეთელი იმავე გიმნაზიის ინსპექტორად; ქუთ. რეალურ სასწავლებლის მასწავლებელი ს. ლოლობერიძე იმავე სასწავლებლის ინსპექტორად; ქუთ. გუბ. სახალხო სკოლების დირექტორად ნიკ მგელაძე ქუთ. ქალთა გიმნაზიის დირექტორად; ქუთ. ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელი ამბროსი სვანაძე ხაშურის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორად; ქუთ. ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელი ივანე კუჭუხიძე ხაშურის ვაჟთა გიმნაზიის ინსპექტორად; ბათომის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორის თან. ალმ. ჯვარიშეიშვილი გორის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორად; გორის ქალთა გიმნაზიის დირექტორი კინწურაშვილი გორის ვაჟთა გიმნაზიის ინსპექტორად; ტფ. გუბ. სახალხო სკოლების დირექტორი პეტრე მიხეილის ძე ჩარექიშვილი ტფ. წმ. ნინოს სასწავლებლის დირექტორად; ტფ. წმ. ნინოს სასწავლებლის ინსპექტორი გედევანიშვილი იმავე სასწავლებლის შტატის მასწავლებლად ინსპექტორობისაგან განთავისუფლებით.

**დათხოვნილთა საჩივარი.** ცენტრალური კოლექტივი საქართველოს რკინის გზის სოც.-ფედ. მოსამსახურეთა მოაგონებს შტატ გარეშე დარჩენილ ამხანაგებს რომ უკანასკნელი ვადა საჩივრის შეტანისა თავიანთ დათხოვნის შესახებ მთავარსთან დაარსებულ კომისიაში სრულდება 20 ამ ენკენისთვეს და სთხოვს ამხანაგებს თავიანთი საჩივარი, წარადგენი ამ კომისიაში, გადასცეს ცენტრალურ კოლექტივის თავმჯდომარეს ამხ. ვ. მუსხელიშვილს (მისამართი: ყორღანოვის ქუჩა) და იგი მისცემს საჩივარს სათანადო მსვლელობას.

**გორის სავოსტატო სემინარიაში** შემომსვლელთა თხოვნები მიიღება 24 ენკენისთვემდე; მისაღები გამოცდები ყველა კლასში მოხდება 25-29 ენკ.

**რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე საზოგადოების** გამგეობას უკვე ჰქონდა პირველი სხდომა. თავმჯდომარედ არჩეულია ბ. ჯაფარიძე, მის ამხანაგებად გ. თვალჭრელიძე და ქრ. რაჭველიშვილი, ხაზინადრად გ. კიკვიძე, მდივნად გედ. სვანიძე. საზოგადოების წევრად ჩაწერა შეიძლება: „სახალხო საქმის" რედაქციაში ქრისტ. რაჭველიშვილთან, რკ. გზის მთავარ სახელოსნოში დათიკო ღვალთან და ვლად. კერესელიძესთან. აგრეთვე იაკ. სირაძესთან (ქსენიევის ქ. № 11) და დათიკო ლომთაძესთან ერობის შეოლების მთავარ საინსტრუქტოროში (პეტრე დიდის ქ. № 8.)

**მღვდლების კრება.** კვირას 15 სექტემბერს, სიონის ტაძარში დანიშნულია უადგილოდ მყოფ სამხედრო მღვდლების კრება ქონებრივ და უფლებრივ მდგომარეობს გამოსარკვევად.

**განსვენებული კაპიტ. არჩილ საყვარელიძე,** როგორც დეპეშით გვატყობინებენ ახალ-სენაკიდან გამოუსვენებიათ სექტემბრის 11-ს, საღამოს 7 საათზე.

**სასურსათო ბარათები.** ყველა ბარათი გარდა ფქვილისა და შაქრისა გაუქმებული იქმნება.

**იარაღის აყრა ოსეთში.** ოსეთის ეროვნულმა საბჭომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას წარუდგინა თავისი აზრი ოსების იარაღის ჩამორთმევის შესახებ. მან გამოაცხადა, რომ წინანდელ მთავრობამაც მოინდომა ოსებისათვის იარაღი აეყარა, მაგრამ სასურველ მიზანს ვერ მიაღწია. ეხლა კი მთელი ოსეთი შეიარაღებულია და ოსები იარაღზე ამყარებენ თავის იმედებს. იარაღის აყრა შეიძლება იმ პირობით, რომ ეს იარაღი ადგილობრივ ორგანიზაციებს ჩაბარდეს.

**სახოფლო კომისია.** სახოფლო კომისიამ უკანაკნელ სხდომაზე დაადგინა ტფილისის გუბერნიის სხვა და სხვა ჰოს წევრები, აგრარულ რეფორმის სახორციელებლად.

**დატუსაღება.** ელიზის საღ... ადერბეიჯანის ... ბით დაატუსაღეს მემანქანე ჩლა... მურადოვი. ესენი თხოულობ... მათი საქმის გარჩევა ტფილისში გადატანილი.

**ფქვილის გამოტანა.** სასურ... სამინისტრო ადგენს ფქვილის ... პორტს ყაზბეგის რაიონიდან. პურ... მოიტანენ ჩრდილოეთ-კავკასიიდ...

**იარაღის აყრა.** სომხეთ... დაადგინა მცხოვრებლებს იარაღი... როს.

**ცეცხლი.** სექტემბრის 12-ს ... ტორან „პრაგა"-ში ცეცხლი გამოჩნ... ცეცხლის ჩამქრობი რაზმი დროზე ... ვიდა და ცეცხლი ჩააქრო.

**ყუმბარის აფეთქება.** გუშინ-წ... საღამოს 8 საათ., ვორონცოვის ძეგ... თან „ფირუზას" სასტუმროში, ყუმბა... გასკდა. იმ ოთახში, სადაც ყუმბა... გასკდა, ვინმე ნიკოლოზ ივანეს ძე ... რეთლის სურათი იპოვეს. საგანგ... რაზმის წევრებმა ეს წერეთელი შეიპყ... როგორც გავიგეთ, ნომერში მ... ახალგაზრდები დაჭრილი არიან ყ... რით. საგანგებო რაზმი გამოძიებას ა... მოებს.

**ხოლერა.** ქალაქის საავადმყო... ში მოათავსეს 6 ხოლერიანი და 3 ... ლერის ნიშნებით ავადმყოფი. ხო... რიანთა განყოფილებაში გადმოიყვა... 2 ავადმყოფი. მორჩა 6, გარდაიცვა... 6 ხოლერიანი და 1 ხოლერის ნიშნებ... ავადმყოფი. სექტემბრის 11-ს სულ იყ... 112 ხოლერიანი და 14 ხოლერის ნი... ნებით ავადმყოფი.

**დანიშვნა.** ტფილისის ვაჟთა პირ... ველ გიმნაზიის ინსპექტორად დაინიშ... მასწავლებელი მ. ზანდუკელი.

**საარტილერიო კურსები.** სამხე... რო სამინისტროსთან გაიხსნა საარტი... ლერიო კურსები—ოფიცერთა და ხელ... ძღვანელთა მოსამზადებლად.

**ფოსტა-ტელეგრაფის შემოსავ...** ლი 1918 წლის განმავლობაში ფოსტ... ტელეგრაფს შემდეგი შემოსავალი ჰქონ... და: იანვარში—536,000 მან., თებ... ვალში—513,000 მან., მარტში—8... მან., აპრილში—582,000 მან., მაი... 624,000 მან., ივნისში—721,000 ... ხოლო ივლისში—773,000 მან., კოვე... თვიური ხარჯი საერთოდ 200,000 მ... უდრის.

# საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

**სტუდენტებთა კრება.** შაბათს, სექტემბრის 14 საღამოს 6 სათზე დანიშნული... სოც.-ფედერალისტ სტუდენტთა კრება... წაიკითხავენ ორ მოხსენებას: „მომენტ... სა დ ტაქტიკაზე" ვადაჰკორია და „აგრარულ საკითხზე"-მ. აჟთელავა. შემდეგ მოხდება დელეგატების არჩევა კონფერენციაზე დასასწრებლად. ვაცხადებთ ამხანაგების საყურადღებოდ, რომ ეს კრება უკანასკნელი და აუცილებლად საჭიროა ყველა ამხანაგების დასწრება რათა ჩვენი წარმომადგენელები დაესწროს პარტიულ კონფერენციას.

—

ამხ. ალექ. მდივანი, თავის მოხსენებას საქართველო გერმანიის შესახებ წაიკითხავს დღეს, საღამოს 8 საათზე.

# † არჩილ საყვარელიძე

არჩილ საყვარელიძე მოჰკლეს წუნკალების ბრბოებმა სამეგრელოში! მომაშორეს ყრმობის საუკეთესო მეგობარი და სამშობლოსაც მოუკლეს ერთი საუკეთესო მამულიშვილი. მინდა რამე დავ... წერო, მინდა გამოვსთქვა ჩემი მწუხ... რება, მაგრამ ვერაფერი მითქვამს. თუ ისე დამსაჯა განგებამ, რომ საუ... თესო ამხანაგი მტრის ტყვიამ ხელი... გან გამომაცალა და ნიჭიც დამიხშ... მწუხარების გამოთქმისა?

რა გითხრა არჩილ? გაქო? რათ გინ... და ჩემი ქება? ენას არ შესწევს იმოდენ... შენ საქებლად, რამოდენობაც შენ ჩაღე... ნილ გმირობას და საქმეებს შეჰფერის. მაგრამ გული მიტირის და ვამბობ: რა დროს შენი სიკვდილი იყო, არჩილ! ჯერ ხომ არ დაგილაგებია სამშობლოს საქმეები, ჯერ ხომ არ გიგემია შენი ნაშრომის სიტკბო, ჯერ ხომ სულ ახალგაზრდა, სულ ყმაწვილი იყავი—რა დროს შენი სიკვდილი იყო, არჩილ?! რა ვქნა, რა გითხრა! ან რა უთხრა ჩვენს, შენს ... ხლობლებს? რა უთხრა ჩვენს ქვეყ...? განა ცოტა დააკლდა სამშობლოსა და მშრომელ ხალხს?!

სამშობლოვ ჩემო!

მოგვიკლეს საუკეთესო შვილი და ძმა! მოგვიკლეს იუდა ისკარიოტელის მოდგმათა ბრბოებმა და ეს დიდი უბედურებაა ჩვენთვის, ეს უნდა ყურად-ვიღოთ, მაგრამ იმისთვის კი არ ვამბობ ყურად ვიღოთ მეთქი, ცრემლი დავაფრქვიოთ, ვიტიროთ და თავში წავიშინოთ. ძვირად გვიჯდება თავისუფლება და უნდა ვეცადოთ არჩილის სახელი ბნელ ძალებზე სამუდამო გამარჯვებით განვამტკიცოთ და დავაკანონოთ!

ყურად იღე ჩემი სიტყვა,
სამშობლოვ ჩემო!
ქართველო მშრომელო ხალხო!

ი. მჭედლიშვილი.

# ქართული სული

ისევ ამოძრავდა ქართული სული.

სწორედ 26 ვარდობისთვიდან იწყო ვარდივით ფშვა.

არე-მარეს მოჰფინა სურნელება, დამატკბობელი გამხარებელი გულისა.

ჩაედგა სული კლდეს, მთას, ბარს, უტყვს, მეტყვს.

ქართული სული უკვე დაქროლავს მატარებლით, მოსცურავს ნავით, მოზუზუნებს მავთულით. მოსჩქეფს მდინარის მჭევლზე, მოფრინავს ზენაქარზე, წკრიალებს ურმულში, გუგუნებს ჰოპუნასა და მრავალჟამიერში.

ალვიძებს ყრუ არსებათაც-კი: კონცხებს, ფრიალოებს.

ახუვლებს სპეკალ ჩანჩქერებს, აზვირთებს მოდუდუნე ხევებს, არაკრაკებს წანწკარა წყაროებს.

და ყველას აგალობებს ერთს კილოზე: საქართველოს სული, გარინდული უხეშობის ძალმომრეობით ასი წლის სავალზე ამოძრავდა, გაშალა მკლავნი ძლიერნი თავისუფალ ქართულ ცხოვრების მოსაწყობად, საკუთარის ტვინითა და საკუთარის გულით საკუთარ წეს-წყობილების შესაქმნელად, გიხაროდენ, ქალაქო, მხიარულ იქმენ, დაბა სოფელო! საქართველოს მოლოდინი აღსრულდა:

ბაზალეთის ძირს აკვანში მწოლარემ იკმარა ძილი, ამოვიდა, და შვილებს მოუტანა ლოცვა-კურთხევა მამებისა. იქიდგან შემოეთვალათ:

**შოთახ:** მზე უკვე მზეობს თქვენთვისა დარიცა დარობს დარულად, რადგან სამშობლო ტკბილი ცა წყალობისა მთოველი გაგიხდათ. სიკვდილი სახელოვანი სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა.

**ნინოხ:** ნათლით გაგანათლეთ და ეგ ნათელი დაგიშრიტეს არა თუ მანდ— თქვენ, არამედ მეც აქ: ჩემსავე სავანეში მესმოდა რაღაც გაუგებარი ჟღურტული ტკბილ ქართულ ლოცვის მაგიერ. გმადლობთ, რომ მომაშორეთ არამკითხე სულის მცხონებლები.

**თამარ მეფეხ:** ზღვაშა ჩაუშვი ხომალდი, ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე, არზუმსა დავსდე ბეგარა, ისპაანს ხარჯი ავიღე. თქვენ საკუთარი მიწა-წყლის მიჯნები მაინც დაიცევით. გიწონებთ, რომ წესიერების ხალხთან დაგიჭერიათ საქმე.

**ილიახ:** მე სულ ამას ვიმღერი: „მესმის, მესმის სანატრელი ხალთხთ ბორკილის ხმა მტვრევისა! სიმართლის ხმა ქვეყნად ჰქუხს დასათრგუნველად მონობისა“, თანაც ვუმატებ: „კვლავ ჩემ წინ მტკვარი მორბის ქუხილით, ამ ქუხილში ვგრძნობ მშობლიურს გრვინვას“. ვაშა, თქვენ!

**რაფიელხ:** „სამშობლო, დედის ძუძუი არ გაიცვლების სხვაზედა: ორივ ტკბილია, მირჩევნის ორსავ თვალზედა. არ გავსცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“...

**აკაკიხ:** „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო, სხვა და სხვა კუთხის მცხოვრებნი, ოდელა, დელა, დელაო“! ჩვენც ხომ სიმების სისუსტემ სინათლე დაგვიბნელაო’.. შორიდგან შემოგვეპარა მტერი ვით ტურა-მელაო და სულ სხვა ხმებზე გვამღერებს, არ მოსწონს „დელა, დელაო!“ ერთობა ჩვენთვის ტახტია მტრებისთვას სახრჩობელაო“... შინაურ მტერს უფრო სასტიკად მოეპყარით, ვიდრე გარეშეს. გამარჯვებულებს გაგიმარჯოთ!

**ნიკოხ** (ბარათ.): მე სულ ამას ვლოცულობ: „გულთა მხილავო, შენ უწყი რაც დღეს საქართველოსა ჭირნი მოადგეს! მრავალ არიან, უფალო, მტერნი, და წარიტაცონ შენნი ცხოვარნი! გვესწრაფე, ჩვენო ხელთ აღმპყრობელო, და აღადგინე დღეს საქართველო“.

ვიმეორებ ქართული სული კვლავ ამუშავდა, იგი ცხოველობს ამერეთს და იმერეთს, იგი ფშვის სატახტო ქალაქებში—ტფილისსა და ქუთაისს, იგი მშვენიერობს სოფლად და დაბად, იგი გზნავს პალატებსა და ქოხებში, იგი დიადობს, იგი ძლიერობს. იგი ზარს ცემს. და, ქართველო, მომავალი შენია...

მ. ჯანაშვილი.

# გიორგი ჭუბაბრია

„სახალხო საქმეში“ ამოვიკითხე: „ბათომიდან ესად-ფაშა იტყობინება დეპეშით: ყველა ქართველი ტყვე, რომელიც ოსმალეთში იმყოფებოდა, დავაბრუნეთ. თუ მათში არ აღმოჩნდა ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელი გიორგი ჭუბაბრია, ალბად იგი მსხვერპლი გამხდარა იმ ბრძოლისა, რომელშიდაც მონაწილეობას იღებდაო“. მძიმეა და მწარე ეს ცნობა მისთვის, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ეგ თმა ხუჭუჭა უმაგალითო ჭაბუკი! გიორგი ნამდვილი განსახიერება იყო სიცოცხლისა. ნეტავ გენახათ როცა ის უსამართლობის გამკიცხავად, დამგმობად გამოდიოდა. მომხიბლავი იყო გიორგი მაშინაც, როცა ჩვეულებრივ მუშაობას ეწეოდა ტოლ-ამხანაგებში. მიმზიდველი, უბრალო და სადა იყო ჩვენი გიორგი! ბედნიერი ყოფილა დედა მისი, რომ ერთადერთი შვილის სიმწარეს არ მოესწრო და სულ ერთი წლით ადრე გაასწრო ამ ქვეყნიდან.

ჩვენს გულს არ სჯერა გიორგის სიკვდილი. ესად-ფაშაც ვერ დაგვარწმუნებს ამ საშინელებას: „ალბადო“, ამბობს ის... არც გვინდა ვინმემ „დანამდვილებითო“, რომ გვითხრას.

ვარლამ იმერელი.

# სამეგრელოსკენ

**აგვისტოს 30.**

ახალსენაკში ვიმყოფებით. ქალაქის ჩვეულებრივი ცხოვრება მიდუნებულია. ზოგი აქედან კიდეც გახიზნულა. ქალაქში საალყო წესებია გამოცხადებული. საღამოს ექვსს საათზე ყოველდღიური ცხოვრება თავდება და ქალაქი სიბნელეში ეხვევა.

აგვისტოს პირველ რიცხვებში აქ განსაკუთრებული შიშიანობა ყოფილა, ეს იმ დროს, როდესაც არეულობა მთელს ზუგდიდის მაზრას მოსდებია, სენაკის მაზრის სოფლებშიც გადმოსულა და სოფლების დაბეგვრა და გაძარცვა გაზშირებულა.

მართალია, თვით სენაკს არ შეხებია მტაცებელი და გამანადგურებელი ხელი გაბოლშევიკებულ ბრბოებისა, მაგრამ ამ დროს ქალაქში ხშირი ყოფილა სროლა განსაკუთრებით ღამღამობით, რაიც შიშის ზარსა სცემდა მცხოვრებლებს.

ამ მდგომარეობაში სენაკი 13 აგვისტომდე. ამ დღეს აქ ჩამოსულა ჯარით მე-12 პოლკის პოლკოვნიკი სრესელი და სამხედრო მოქმედებას შესდგომია.

დღეს პოლკოვნიკი სრესელი ვინახულე, აგრეთვე საგუბერნიო და სამაზრო კომისრები, რომლებმაც ზოგიერთი ცნობები გადმომცეს სამეგრელოს ამბების შესახებ.

მომყავს შემოკლებით ეს ცნობები. დაწვრილებით ამ ცნობების აღნუსხვა მომიხდება იმ დროს, როდესაც ჩვენი პოლკი სოფლებში გაივლის.

აჯანყებულთა მეთაურები სოფელ-სოფელ დაიარებოდნენ შეიარაღებული ხალხით და მთავრობის ჩამოგდებას ქადაგებდნენ. ეცემოდნენ სოფლის კომისარიატს, ხალხს გადასახადს ადებდნენ და ხშირად სძარცვავდნენ. მაგალითად გაძარცვეს ხობი და მის მახლობლად მდებარე სოფლები.

ამ აჯანყების დაწყებამდე თურმე სამეგრელოში დიდხანს დაიარებოდა ცნობილი მტერი ხალხისა და თავისუფლებისა საშა გეგეჭკორი თავის ამალით და დიდს აგიტაციას ეწეოდა მთავრობის წინააღმდეგ. საშა გეგეჭკორს ამ დროს ფული ბლომად ჰქონია და ხალხისაგან უფულოდ არა მიჰქონდა რა. პირიქით სამჯერ და ოთხჯერ მეტს აძლევდა ღირებულობის კვალობაზე. შემდეგ ეგ საშა გეგეჭკორი და სხვა მეთაურნი წასულან და აჯანყების ხელმძღვანელობა მიუნდვიათ ნაყაჩაღარ ხალხისთვის, რომელთა მოსყიდვაც უფრო ადვილი არის. სამეგრელოში აჯანყება უფრო მაშინ გაძლიერდა, როდესაც ლეჩხუმში ასეთი მოძრაობა მინელდა. სამეგრელოს ყაჩაღურ ბრბოებს შეუერთდნენ ლეჩხუმიდან დევნილი ბრბოები და ხალხს მოედვნენ. ხალხი იძულებული იყო ნებსით თუ უნებლიეთ მათ მიმხრობოდა. აჯანყების ერთი უმთავრესი ბელადი არის ხორხის მცხოვრები სანდრო გვასალია, რომლის განკარგულებაში მყოფი შეიარაღებული ბრბო ხშირად 2,000 კაცამდე აღწევდა. ამ გვასალიას ბნელ წარსულის შესახებ შემდეგ გვექნება ლაპარაკი, ახლა კი ვიტყვით, რომ ამ ნაყაჩაღარმა კაცმა მეტად დიდი როლი ითამაშა აჯანყების გაღრმავებაში. ბრბომ იმდენი მოახერხა რომ ზუგდიდი და სენაკი ერთმანეთს მოსწყვიტა და შეუძლებელი გახადა უშიშარი მოგზაურობა სამეგრელოში. აჯანყებულნი ხალხში დაჟინებით ხმას ავრცელებდნენ, რომ ჩვენმა მომხრეებმა უკვე აიღეს ტფილისი და ქუთაისი და ბურთი და მოედანი ჩვენ დაგვრჩაო. ეს ბრბო ყველგან გამოდიოდა ბოლშევიკების სახელით და ფულსაც მისი სახელით ჰკრებდა. ისინი ყველას ვალდებულად ხდიდნენ წევრად ჩაწერილიყვნენ „რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ (მეუმრავლესეთა) პარტიაში“. საწევრო გადასახადი იყო თვეში 1 მან. საწევრო ბარათი, რომელიც პოლკ. სრესელმა მაჩვენა, დაბეჭდილია რუსულ-ქართულად. იმ ბარათის პატრონ გლეხს, როგორც ბარათიდან სჩანს, ჯერ კიდევ მარტში გადაუხდია საწევრო ფული ერთი მანეთი. აქედან სჩანს, რომ ბოლშევიკების მოღალატური მუშაობა დიდი ხანია დაწყებულა. ბოლშევიკები ამას არ სჯერდებოდნენ. ისინი [illegible] სახით ყოველნაირად სძარცვავდნენ ხალხს. ამის დასამტკიცებელი წერილობითი საბუთი მრავალი შეუკრებია პოლკ. სრესელს. ორი მათგანი (ერთი რუსულია და ერთი ქართული), რომელსაც რედაქციას ვუგზავნი ამ წერილთან ერთად, პოლკ. სრესელმა მიფეშქაშა.

აი სიტყვა-სიტყვით ქართული დოკუმენტი, რომელიც საშინელის დამახინჯებულის ქართულ ენით და ხელით დაუწერია საშა გეგეჭკორის ღირსეულ მოადგილეს:

„დადგენილობა რომ; უნდა, გამოგზავნო შატრაფი „შტაბში როსტო პაჭკირიამ 100 რუბ ამის მომტანი ხელით თუ არა სხვა ზომა იქნება „მიღებული“.

მომყავს რუსული დოკუმენტიც: „постановлэнiэ 1918 года, 6 августо постановлен постановилъ тто приставилъ фечетв селекй если не приставитъ буъеть принято мери тому что второэ 3000, р тиче еслй неприставите фечатъ тогда прйтавите штраөа если неприставйте штраөа тогда получите получите кажавъ Тепр. Какъ хатите

Росписался Начальйкъ штаба (ხელი გაურკვეველია) Командиръ (აქაც ხელი გაურკვეველია)“.

პოლკოვნიკ სრესელს სენაკში მოსვლისთანავე მიზნად დაუსახავს სენაკ-ზუგდიდის გზისა და ახლო-მახლო მდებარე სოფლების განთავისუფლება ყაჩაღთა ბრბოებისგან. უმთავრესი ყურადღება მიუქცევია ამ ორის მაზრის მნიშვნელოვან ცენტრისთვის—სოფელ ცაიშისათვის და მის გარს შემორტყმულ სოფლებისთვის. ამ მიზნისთვის კიდეც მიუღწევია. ზოგან მართალია იძულებული გამხდარა, რომ იარაღისთვის მიემართნა წესიერების დასამყარებლად, მაგრამ ბრბოებს არსად არ გაუწევიათ მისთვის სასტიკი და ორგანიზაციულად მოწყობილი წინააღმდეგობა. ჯარის მიახლოებისათანავე ბრბოები, განსაკუთრებით მათი მეთაურები ლაჩრულად სტოვებდნენ სოფლებს და ზუგდიდის მაზრის მხარეს გარბოდნენ.

პოლკ. სრესელს ორის კვირის განმავლობაში უმუშავნია სენაკის მაზრაში და მაინცა და მაინც ვერ მოუსწვრია ყველაფრის გაკეთება. ამას თვით სრესელი ასე გვიხსნის:

— მე შემეძლო ამ მცირე ხნის განმავლობაში მთელი სენაკისა და ზუგდიდის მაზრა შემომევლო,—ამბობს პოლკ. სრესელი; უეჭველია, ბრბოები გზას მოსცემდნენ და გამატარებდნენ, მაგრამ ჩემის წასვლის შემდეგ ისინი ისევ თავთავიანთს ადგილას მოიკალათებდნენ და ძველებურად შეუდგებოდნენ ხალხის დამღუპველ მუშაობას, ჩემი მიზანი კი ეს არ იყო. მე არ მაინტერესებდა სწრაფი და ეფექტიანი წინ სვლა და არც იაფ-ფასიანი ძლევამოსილება ჩემის ჯარისა. მე საჭიროდ ვთვლიდი, რომ სადაც მივიდოდი, პოზიცია გამემაგრებინა, მთავრობის ავტორიტეტი ამემაღლებინა ხალხის თვალში და სოფლებში მტკიცე მართველობა დამემყარებინა. სხვათა შორის,—განაგრძნობს პოლკ. სრესელი,—აქეთ მხარეს თითქმის სულ არ არსებობს სოფლის ადმინისტრაცია. ადმინისტრატორების ადგილი უჭირავთ ძალიან საეჭვო ყოფა-ქცევის კაცებს, ან კიდევ პატიოსანს, მაგრამ ხასიათი ძალიან სუსტ ხალხს. ამიტომ მე ყველგან სოფლებს ვაიძულებდი, რომ დაუყოვნებლივ აერჩიათ თავიანთ შორის სოფლის კომისრები და მილიციონერები. მათ წინადვე ვაფრთხილებდით, რომ თუ თქვენი არჩეული პირები ცუდი ყოფაქცევისა გამოდგებიან, მაშინ მათი მოქმედების პასუხისმგებელნი თქვენვე იქნებით-მეთქი.

პოლკოვნიკი სრესელი ყველა სოფელს ოთხს მოთხოვნილებას უყენებდა. აი ეს მოთხოვნილებანიც: 1, იარაღის დაყრა, 2) ჯარში გასაწვევთა აუცილებელი გამოცხადება, 3) აჯანყებულთა მეთაურების და მათ აქტიურ მონაწილეთა გაცემა და 4) დასჯა ოჯახისა, რომელიც ხელს უწყობს ოჯახიდან გავარდნილ თავის წევრს.

იმ სოფლებს, სადაც პოლკ. სრესელის ჯარს გაუვლია, რამდენიმეთ შეუსრულებიათ ეს მოთხოვნილებანი. სოფლები მთავრობას ნდობას და მორჩილებას უცხადებდნენ, მაგრამ ან დასძენდნენ) ჩვენი ბრალი არ არის, რომ უპატრონოდ ვართ და იძულებულნი ვხდებით ყველა გამვლელ შეიარაღებულ კაცს დავემორჩილოთო; ოღონდ უიმედოდ ნუ დაგვტოვებთ და ყველაფერში დავეხმარებით მთავრობასაო.

როგორც ზემოთაც ვთქვით აჯანყების მეთაურნი გაქცეულან, ამ ჟამად დაპატიმრებულია ბევრი სოფლელი. ესენი ის პირნი არიან, რომელნიც აქტიურად იარაღით ეხმარებოდნენ ბოლშევიკებს.

ასეთია დაახლოვებით წარსულის სურათი. დღეს, ესე იგი აგვისტოს 30-ს ვიგებთ, რომ ბოლშევიკებს თუ სენაკის მაზრაში შეუსუსტებიათ მუშაობა, სამაგიეროდ უფრო მეტის ენერგიით გაუძლიერებიათ მოქმედება ზუგდიდის მაზრაში, რომელიც მათ ხელშია. გარდა თვით ზუგდიდისა რომელსაც თავგამოდებით იცავს იქაური რაზმი მათ შორის ს.-ფედ.

დღეს სამაზრო კომისარიატში ვიგებ, რომ შეუპყრიათ აჯანყებულთა ერთი ბელადთაგანი, ზუგდიდის მაზრის სოფელ ახუთის მცხოვრები ნესტორ ჯოჯუა. ეს ჯოჯუა ბოლშევიკებისგან დიდი უფლებით ყოფილა აღჭურვილი. იგი თურმე დადიოდა სოფელ-სოფელ და საქართველოს რესპუბლიკისა და მის მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდა. ამ კაცს მეტად ბნელი წარსული აქვს. ყოფილა „გოროდოვოი“ [illegible] მერე უმსახურნია [illegible] ზედამხედველად. ბოლოს მოხვედრილა ბათომის გამომძიებლის თარჯიმანად. სამეგრელოში აჯანყების დაწყებისათანავე ეს ჯოჯუა ბოლშევიკებს ახუთში დაუდაეყენებიათ სოფლის მწერლად. თავის დროზე ჯოჯუა პოლიტიკურ მაბეზღრობასაც ეწეოდა. შეპყრობის დროს მასსხვათა შორის აღმოაჩნდა დოკუმენტი, საიდანაც სჩანს, იგი ჩაწერილი ყოფილა საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიაში.

ამავე კომისარიატში ვტყობულობ, რომ წინა ღამით სოფელ აბიდათში (სენაკის მაზრა) სროლა ყოფილა მილიციონერებსა და უცნობთ შორის:

აბიდათში გამოჩენილა ოთხი შეიარაღებული საეჭვო ცხენოსანი, რომელთაც მილიციონერებმა სროლა აუტეხეს. მათაც სროლით უპასუხნიათ. სამი გაქცეულა. ერთი შეუპყრიათ. იგი აღმოჩნდა ლეჩხუმელი მიხა ივანეს ძე ჩხეტიანი სოფელ დღვრისიდან. როგორც მან განაცხადა, მასთან ერთად იყვნენ: პორუჩიკი აკაკი ორბელიანი, იაკობ დავითულიანი და სანდრო ქაჯაია. ეს ქაჯაია აბითიდან არის და მას წამოუყვანია ეს სამი კაცი ლეჩხუმიდან სამეგრელოში „რევოლიუციის“ გასაღრმავებლად. ისინი თურმე ზუგდიდისკენ მიდიოდნენ.

ამავე დღეს პოლკ. სრესელი ტფილისს გაემგზავრა, რადგანაც იგი დაინიშნა დარიალის ხეობის მოდარაჯე პოლკის უფროსად. მისი საქმეები გადაეცა ბათომის პარტიზანულ პოლკის უფროსს გენერალ იოსებ გედევანიშვილს, რომელსაც აგრეთვე ექვემდებარებიან ყველა ჯარები, რომელნიც სამეგრელოსამურზაყანოში მოქმედებენ.

რ. ბ—ლი.

# „თეთრი ოცნების“ საგანძურიდან

მარად ჩემთან ხარ განუყრელად, როგორც მარჩბივი,
როგორც სიკვდილი უთვალთვალებ ყოველ გულისთქმას,
ხან ცრემლით გლოცავ მადლიერი, სასოდ რომ მივი,
ხან ჯვარზედ გაცვამ ჩემის ხელით ჩემსავ სულისდგმას.
არ ვიცი წუთი, შენს გარეშე რომ გამეთიოს,
არ მახსოვს ნაღვლი მარტოობის შენს გადამკიდეს,
მაშ, ეს ზღვა-გრძნობა ცის ქვეშეთში ვით დაეტიოს,
რომ ნიაღვარად არ მოედოს კიდითი-კიდეს!
და აჰა, აქაც—მშობლიურსა და მყუდრო წიაღს—
დიად მზესავით ახალისებს შენი ხატება,
მწუხრის ბინდსა თუ განთიადის ხასხასა ციაგს
მწვავე სხივებად ხსოვნა შენი გარს ეფანტება:
აი ვარდები, ყვავილები რაგინდრაფერი
შენი თვალებით მიცქერიან, კრძალვით სავსენი,
მწიფე ყანები, ვენახები ტურფად ნაფენი
შენის წყალობით გამხდომიან სულის სასვენი.
თეთრი ღუმილით დატვირთული ღრუბელთა ქულა,
ეს ხომ ფიქრია, შენი ფიქრი თეთრად ნარკვევი,
ღრმა ცის გუმბათზე ქარაგმებად რომ მოქარგულა,
როგორც ეტრატი ბრძენის ხელით ფრთხილად ნარგვევი.
როცა მთის წვერვალთ სიმად ებმის პირველი სხივი,
ვიცი, რომ იგი შენი თმაა, ოქროს დალალი,
და როს ვარდ-ყვავილს ტუჩზე უკრთის ცვარ-ნამის მძივი,
ის ღიმილია, შენ რომ აფრქვევ, ბროლი და ლალი.
ასე მარადის ჩემთანა ხარ, როგორც მარჩბივი,
ვით მაცინცველი უდარაჯებ ყოველ გულისთქმას,
ხან მუხლმოდრეკით გევედრები, ღმერთად რომ მივი,
ხან შხამს გაწვეთებ სპეტაკს გულში ჩემსავ სულისდგმას.

ა. ჭუმბაძე.

1918 წ. სექტემბერი
ს. კლდეეთი

# ჟურნალისტის დღიური

—

**ლტოლვილები.**

ლტოლვილების საკითხი ერთი უმწვავესი საკითხთაგანია ჩვენი დროისა. იმ საომარი ქარ-ტეხილის დროს, რომელიც ჩვენს ქვეყანას დაატყდა თავს, ლტოლვილობამ სტიქიური ხასიათი მიიღო, დღეს გარემოებამ ცოტათი შეიცვალა. სომხეთში რაოდენადმე მაინც მშვიდობიანობა დამყარდა. თუ ჯერ-ჯერობით ჩვენში შემოხიზნული ლტოლვილების უკან დაბრუნება წესიერად ვერა ხერხდება, ლტოლვილთა ახალი ტალღის მოზღვავება მაინც შეჩერებულია. მიუხედავად ამისა, მაინც მოდის ხმები, რომ ლტოლვილები მოდიან როგორც კავკავიდან, ისე ფოთიდან, ისე სხვა ადგილებიდან. ჩვენ რომ ნორმალურ პირობებში ვცხოვრობდეთ, მაშინაც კი დაუსრულებელი და უთავბოლო შემოხიზვნა უცხოელებისა შეუძლებელი იქნებოდა, დღევანდელ პირობებში კი, როდესაც სურსათის ნაკლებულობა გვახრჩობს, როდესაც ჩვენი მთავრობა უკიდურეს ზომებს მიმართავს ხალხისთვის საჭირო სურსათის გამოსანახავად, — ამისთანა პირობებში ჩვენ კარებს ღიას ვერ დავტოვებთ და ჩვეულებრივ სტუმართ-მოყვარეობას ვერ გამოვიჩენთ.

ლტოლვილები ძალიან ხშირად მოდიან ისეთი ადგილებიდან და სახელმწიფოებიდან, რომელთაც არც კი ჰსურთ ანგარიში გაუწიონ ჩვენს დამოუკიდებლობას და ყოველნაირ ზომებს იღებენ ზურგიდან მახვილის ჩასაცემად.

ჩვენ გვგონია, რომ დროა მთავრობამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს, საქართველოში შემოსასვლელი ადგილები დაჰკეტოს და ლტოლვილები ჩვენს ქვეყანაში აღარ შემოუშვას.

არ მოიძებნება ქვეყანაზე არც ერთი ისეთი დემოკრატიული სახელმწიფო, რომელმაც თავისი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები მსხვერპლად შესწიროს უცხოელებს. ჩვენი ქვეყანა სურსათის მხრით კატასტროფიულ პირობებში იმყოფება და თუ თავზე შესანახად კიდევ ახალი ლტოლვილები დაგვაწვა,—ჩვენ გაჭირვებას ვერ გავუძლებთ.

იმედი გვაქვს მთავრობა ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს და ლტოლვილთა შემოხიზვნას აქიერიდან შეაჩერებს.

შინაური.

# სატეხნიკო ცოდნა

ტფილისის სპეციალ. სასწავლებელებში დღევანდელ გამოცდის გამო.

დღეს, როდესაც საქართველო შეუდგა დამოუკიდებელ ცხოვრების განმტკიცების საქმეს, უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკის და სწავლა-განათლების საკითხებს.

ქვეყნის ეკონომიურ ასაღორძინებლად, ასაყვავებლად საჭიროა ისეთი სწავლა, ისეთი ცოდნა, რომლის წყალობით მეცნიერული გამოკვლევანი და აღმოჩენები პრაქტიკულ ცხოვრების ნიადაგზე გადმოინერგება, მრეწველობის პირობები გაუმჯობესდება, სასურველი მსვლელობა მიეცემა, შეიქმნება ახალი დარგები, გაჩნდება ახალი გამოკვლევანი, პროცესები ..

რით აიხსნება, რომ ჩვენი ყოველმხრივ უხვად დაჯილდოვებული ქვეყანა სრულიად შეუსწავლელია, და მიუხედა-

ვად იმისა, რომ იძლევა მრავალგვარ შესაძლებლობას მრეწველობის განვითარების მხრივ, არც ერთი დარგი სასურველად და რიგიანად განვითარებული და აყვავებული არ არის?

რასაკვირველია, ცოდნის უქონლობით, სიბრმავით, შეუგნებლობით!..

ეს არც გასაკვირია! კაცობრიობის კულტურული ცხოვრების ახალი და ახალი მოთხოვნილებანი და საშუალებანი, ტეხნიკის წარმოუდგენელი სისწრაფით წინსვლა და მისი „სასწაულები",—ყოველივე ეს ადამიანის ცოდნით არის შექმნილი, ადამიანის სწავლის სიფართოვით და სიღრმავით.

სპეციალური, პრაქტიკული მეცნიერების დანიშნულებაა მეცნიერული, წმინდა ცოდნის შეფარდება ყოველდღიურ ცხოვრების მოთხოვნილებასთან ანუ პროფ. ლიდოვის სიტყვებით „განყენებული იდეალური „სიკეთის" რეალურ „სიკეთედ" ქცევა".

აი, რას ამბობს გამოჩენილი ინგლისელი პროფესორი პერკინი: „ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ის ქვეყანა, სადაც იმყოფებიან საუკეთესო ქიმიკოსები და სადაც უფრო ფართოდ არის გავრცელებული ქიმიური ცოდნა-განათლება, ბოლოს და ბოლოს იქმნება უფრო აყვავებული და მძლავრი. მას ექნება უფრო კარგი და იაფი საჭმელ-სასმელი, უფრო კარგი მანუფაქტურული ნაწარმოებნი, უფრო მძლავრად მომქმედი ამაფეთქებელი საშუალებანი, უფრო ძლიერი და მკიდრო იარაღი. ასეთი ქვეყნის მცხოვრებნი უფრო რაციონალურად ისარგებლებენ ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს, იქმნებიან უფრო ჯანსაღნი, უფრო განათლებულნი, მდიდარნი და სხვებისგან დამოუკიდებელნი. ეხლანდელ დროში ხალხთა შეჯიბრება-მოცილეობა გამოიხატება ჯიბრით მეცნიერებაში საზოგადოდ და ქიმიაში კერძოდ".

საქართველოს დღეს ესაჭიროება მომზადებული აგრონომები, რომელნიც ჩამოქვეითებულ სასოფლო-მეურნეობის საქმეს სასურველ სიმაღლემდე აიყვანენ; ჩვენ გვესაჭიროება მცოდნე ქიმიკოსები და მექანიკოსები, რომ გაუძღვენ, ამუშავონ და განავითარონ ჩვენში მიძინებული ქიმიური და მექანიური მრეწველობა; ჩვენ გვესაჭიროება სამთო-მადნო საქმის მცოდნენი და გეოლოგები, რომ გამოიკვლიონ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრენი და მათი დამუშავების საქმე მოაწესრიგონ და სხვ.

რუსეთის და ჩვენი ცხოვრების ჩამოქვეითებით შეიძლებოდა ახსნა იმ უყურადღებობის ტ ტეხნიკურ სწავლისადმი, რომელიც ამდეხანს იყო გამეფებული.

ამ სამოსწავლო წლიდან საქართველოში არსდება რამდენიმე სპეციალური საშუალო სასწავლებელი. ტფილისში იწყებს არსებობას საშუალო ტეხნიკური და მიწის-მზომელთა სასწავლებლები, რომლებშიაც 1 კლასიდან, სადაც უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის ან საზოგადოდ საშუალო სკოლის 4 კლასის კურსდამთავრებულნი მიიღებიან ნაციონალიზაცია იქმნება გატარებული. დღეს, 12 ენკენისთვეს დაიწყება გამოცდები ზემო დასახელებულ სასწავლებლებში.

ქართველ საზოგადოებამ უკვე შეიგნო ტეხნიკური სწავლა-განათლების მნიშვნელობა და იმედი უნდა ვიქონიოთ, დიდის ხალისით გამოგზავნის ის ასეთი სწავლის მისაღებად თავის შვილებს.

ეს გარანტიას მოგვცემს, რომ ქართული მრეწველობა და ტეხნიკა ამ ახლო მომავალში სასურველ ნიადაგზე დამკვიდრდება.

ინჟ. გ. კაკაბაძე.

## პატარა ფელეტონი

### „ისპანკა"

ახირებული რაღაც ავადმყოფობა გავრცელდა! ყველას ემართება! დიდს, პატარას, ღარიბს, ძლიერს, უძლურს, ერს, მღვდელს, ბერს, ყველას ერთი სიტყვით! ხოლერა, შავი ჭირი, სოფლე და სხვა სახადი უმეტეს შემთხვევაში ასალმებს წუთი-სოფელს ადამიანს, ხოლო ეს რაღაც „ისპანკაა", ყველას ედება და არავის კი არ კლავს.

„ისპანკა" ეს სახელწოდება ასე აიხსნება: ისპანიური ავადმყოფობა—მოკლედ „ისპანკა". გერმანელებმა შემოიტანესო, საკვირველია! ჩვენს ქვეყანაში ისე არავინ შემოსულა, რამე არ შემოეტანა. მაგალითად, რუსეთმა შემოიტანა ავადმყოფობა, მას ერქვა სახელად „ბიუროკრატიზმი", რომლითაც თავის დროზე მოიწამლა ჩვენი თავად-აზნაურობა და არისტოკრატია. ასი წლის შემდეგ „ბიუროკრატიზმი" „ბოლშევიზმად" შეიცვალა რუსებისავე წყალობით.

ამ ავადმყოფობით ყველა არა, მაგრამ ბევრი გახდა ავად და ვინც გახდა ავად ძნელი მოსარჩენი შეიქნა. გამოგონილ, იქნა დიდი ექიმის ნოე ჟორდანიას რეცეპტი სამ სხვა და სხვა წამლიდან: ჯუღელიზმი, კონიაშვილიზმი და გეგეჭკორიზმი, სამ-სამი წვეთი უნდა ჩაესხას პარტიზანულ რაზმის და სახალხო გვარდიის დიდ ბოთლში. 24 საათის შემდეგ ის ბოთლი გასქდება და ვისაც წამლის შუქი მოხვდება ფიცხლავ არჩენს და გაბიაბრუებიდნენ არკვევს!

ეს დიდი ექიმი, რეცეპტის გამომგონი, ლამის თვითონწავად გახდა ამ „ბოლშევიზმით" თავის დროზე, მაგრამ ი. წერეთელმა და ე. გეგეჭკორმა ის გადაარჩინეს. ეხლა კი, ჰოი, საკვირველებავ! გერმანელების მიერ შემოტანილი „ესპანკა" დამართვია!

იმ დღეს სოფლიდან მეზობელი მესტუმრა. ეხლი ხომ ყველას მთავრობასთან აქვს საქმე!

— შენს გაზრდას, ერთი იმ ნოესთან მიმიყვანე, მითხრა სოფლიდან ჩამოსულმა მოხუცმა,—სათქმელი მაქვს!

— ნოე აქ ბევრია, ბეკო! შენ რომელი ნოე გინდა?

— აი, ის თავი კაცი რომ არის!

— ნოე აქ ყველა მეთაურია!

— იმ ყველაზე დიდ ნოესთან!

— ჰო, ნოე ჟორდანიასთან!? კეთილი წავედით.

მივადექით სასახლეში ნოე ჟორდანიას ოთახის კარებს.

ადიუტანტი როტმისტრი უშვერიძე დაგვიხვდა. გვარი აქვს ასეთი, თორემ ისე ზრდილობიანი აღმოჩნდა

ნაღვლიანის ხმით გვითხრა:—ავად არისო.

კარებზე ასეთი წარწერა იყო: „მთავრობის თავმჯდომარე შინ არავის მიიღებს".

მაგრამ, ხომ იცით, კაცის გული უჯეროა!

არ მომისვენა მოხუცმა და ბინაზე წამიყვანა.

მეკარემ დერეფანში შეგვიყვანა და გვითხრა:

— ეხლა ექიმი გოპაძე არის ავადმყოფთან, სინჯავს და ცოტა ხანი დაიცადეთო.

დერეფანში ვნახე ესერი ვერეშჩაკი და ს. დემოკრატი სმირნოვი, ორივეს ხელში ყვავილი ეჭირათ და ექიმის გამოსვლას მოუთმენლად ელოდნენ.

— თქვენც ავადმყოფთან?—მკითხეს.

— დიახ!

— ამბობენ, ვერ გადაიტანსო!

— ვნახოთ; უპასუხე და ალმაცერად ავხედ-დავხედე.

ორივენი იცინოდნენ და მხიარული სახე ჰქონდათ, თითქოს გამარჯვებულები არიანო. ბჭობდნენ რუსეთზე და მის მომავალზე.

— რას შვრება ავადმყოფი, ბატონო ექიმო, მიმართა ვერეშჩაკმა ავადმყოფიდან გამოსულ ექიმს.

— მოკეთდა, „ისპანკითაა" ავად, სიცხემ უკლო და მალე ფეხზე წამოდგება! ექიმი გავიდა.

— ხომ ხედავ! შენ კი გეგონა წავიდოდა! ჯერ კიდევ ჯანსაღადაა ამხანაგო! უთხრა ჩუმის ხმით სმირნოვმა ვერეშჩაკს.

— ტყუილი იმედი გვქონდა მაშ! ეჰ! აფსუს! წავიდეთ ამხანაგო! ხელები ჩაიქნიეს, გავიდნენ, ყვავილები ქუჩაში გადაჰყარეს.

მოხუცი მაინც მიიღო ავადმყოფმა და მოუსმინა.

ლადო გეგეჭკორი.

## ხმა დუშეთიდან

ამას წინედ „ერთობის" 178 ნომერში იყო დაბეჭდილი დ. თურდოსპირელის წერილი. იმ წერილში აღნუსხულია ჩვენი ქვეყნის უმწეო მდგომარეობა. სრულიად მართლადაა იქ აწერილი დუშეთის ჩამორჩენის ამბავი დიდი ხანია აღარც სამკითხველო გვაქვს, არც სხვა რამ საკულტურო დაწესებულება. თურდოსპირელი მწუხარებით აღნიშნავს ამ არანორმალურ მოვლენას, მხოლოდ მიზეზად ასახელებს ადგილობრივ სოც.-ფედერალისტებს; და დასძენს, რომ ჩვენ იოტის ოდენა არა გაგვიკეთებია რა დუშეთში. ის არ მალავს, რომ ჩვენ აქ საკმაო გავლენა გვაქვს და უკვირს, რატომ დუშეთს არ ააყვავებენო. მაგრამ სულ ტყუილად წამოგვიჭრელა ბ. თურდოსპირელმა.

დიდი ხანია აზრად მქონდა დამებეჭდა ვრცელი წერილი იმ გარემოებათა შესახებ, რომელთა წყალობით, ჩემის აზრით, დუშეთის მაზრაში ანარქია დაისადგა, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო ყველაფრის გაზეთის ფურცლებზე გამოტანა მოუხერხებლად ესცანი, თუმცა კი არც სრული გაჩუმება ვარგა საქმისათვის. ჩვენ დაგვღუპა უმთავრესად იმ გარემოებამ, რომ აქამდე ყოველ თანამდებობაზე უსათუოდ მენშევიკი უნდა დაენიშნათ, მიუხედავათ იმისა, შეეძლო მას თუ არა ამა თუ იმ საქმის შესრულება. ქვიშეთ-ფასანაურ-ყაზბეგის რაიონის კომისრად იყო ვინმე მებუფეტე შადური, რომელიც მარტო იმის ცდაში იყო, როგორმე მეტი აერთვა მგზავრებისთვის. მასთან მწერლად ნამყოფი გვიჩვენებს, რომ მთელი კვირაობით ბატონი შადური არ გამოდიოდა ბუფეტიდან და ქაღალდების ხელის მოწერაც კი უძნელდებოდა. ანანაურს იყო კომისრად ვინმე ლაზარიანცი, რომელიც მთავრობამ 1909 წ გადაასახლა ეკლესიის გაძარცვისთვის.

მჭადიჯვარში კომისრობდა კახუაშვილი, რომელიც მეთაურობდა ქსანზე იანვარში მომხდარ აზნაურების და მედუქნეების დარბევას. არაფერს ვიტყოდი მაზრის კომისრებზე, ისინი, როგორც ეკრანზე სურათები, ისე იცვლებოდნენ და ყოველი მათგანი თავისებურად ეწეოდა „ალმაშენობლობით მუშაობას". ყველაზე მეტი ღვაწლი მიუძღვის კლიმიაშვილს. ეს ბატონი არაფერს არ ზოგავდა და ჩვენს ამხანაგებს სდევნიდა ყოველგვარ საზოგადო დაწესებულებიდგან.

როდესაც მეამბოხენი დუშეთში შემოვიდნენ, მათ წინ მოუძღოდათ თითქმის ყველა სოფლის კომისრები.

ჩვენი ამხანაგები კი ამ დროს განდევნილნი იყვნენ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოდან, სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტისგან, ქალაქის თვითმართველობისგან. მიუხედავად ამისა, დუშეთის სოც.-ფედ.-ის ორგანიზაციამ თებერვალში ბრძოლის ველზე გაგზავნა 60-დე რაზმელი, ჩვენმა ამხანაგებმა დაიცვეს ქალაქი ესკადრონის ჯარისკაცების დარბევისგან, მთელი ზამთარი სდარაჯობდნენ და ახლაც, როდესაც დუშეთიდან წითელგვარდიელები და პარტიზანები წავიდნენ, მხოლოდ ჩვენი ამხანაგებისაგან იყო ქალაქი დაცული.

თქვენ კი გვისაყვედურებთ, რატომ წარმოდგენებს, ან სხვა რაიმე კულტურულს გასართობს არ აწყობთო. საკვირველია ღმერთმანი, აბა ვის მოაგონდებოდა ამ საერთო უბედურებაში თავის შექცევა. ჯერ იყო ანარქია, მას მოჰყვა ხოლერა და ჩვენ რომ თქვენთვის დაგვეჯერებინა პუშკინის „ჭირის დროს ლხინი" გამოგვივიდოდა.

თქვენი ბრძენი პოლიტიკური თანამოაზრენი დღემდე ყოველგვარ საშუალებას გვისპობდნენ რამე გაგვეკეთებინა. ხალხი აღზარდეს „თავად-აზნაურულ" ფედერალისტების სიძულვილში და აკი ნაყოფიც მოიმკეს. მადლობა ღმერთს, რომ ამ არა მკითხე პოლიტიკოსებმა მოსძებნეს დუშეთის მაზრის გარეშე ბინა და როგორც ამბობენ ტფილისში მათ მეტად თბილი ადგილები უშოვიათ. ქალაქი, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩაიბარეს ჩვენმა ამხანაგებმა და მგონი გაიგებდით მათ პირველ ნაბიჯების შესახებ. სამკითხველოც ეწყობა, ქალაქი იძენს თავის აფთიაქს, ფურნეს და სხვას მე სიამოვნებით ვკითხულობდი თქვენ წინა წერილებს, დუშეთის შესახებ კი მეტად ცალმხრივი წერილის დაბეჭდვა მოგიწადინიათ. ეს ალბად იმიტომ, რომ აქაურები „ერთად-ერთი მუშათა პარტიას" ცოტა კრიტიკული თვალსაზრისით უყურებენ. ჩვენ ხომ მაში დამნაშავენი არა ვართ? თუ თქვენ მართლა გული გეწვით ჩვენი ქვეყნისთვის, მოდით დაგვეხმარეთ და თუ თქვენთან არ ვიქნეთ მაშინ ყველაფერი გვაკადრეთ. საღ და მიუდგომელ კრიტიკას ჩვენ არადროს არ გავექცევით. ზეზეურ ბრალდებათა ბეჭვდა არ შეშვენის სოციალისტურ გაზეთს.

თქვენ აქ კოლექტივი დაგიარსებიათ. ძალიან კარგი, მაგრამ, ჩვენ კი არ გვირჩევდით ასლანაზოვ-ნონიანც-მელიქიანცთან საქმის დჭერას ყველამ კარგა უწყის მათი შავი საქმეები, მეტადრე მელიქიანცისა, რომელიც ამ ბოლო დროს სისტემატიურად იპარავდა პურს საქალაქო ფურნიდან და ტფილისში მიჰქონდა გასასყიდად. ეს უკვე ყველამ იცის და მიკვირს თქვენ როგორ ვერ გაიგეთ.

აქაური სოც.-ფედერალისტი.

## ღია წერილი

სამხედრო საორგანიზაციო სექციას

თანახმად სამხედრო მინისტრის ბრძანებისა ახლად ქმდგარ ჯარის რეგულიარულ ნაწილებში სწავლება ქართულ ენაზე უნდა სწარმოებდეს. დღემდის, ამ მხრით არაფერი არ გაკეთებულა და როგორც სწავლება ჯარისკაცთა ისე მიწერ-მოწერა ისევ რუსულად სწარმოებს; ამის მიზეზად ასახელებენ ქართულ ენაზე „წესდებები"-ს უქონლობას. ამიტომ ნება მიბოძეთ, გკითხოთ: იბეჭდება თუ არა ეს წესდებები და როდის, ან სად შეიძლება მისი მიღება?

მე 5 მსროლელთა პოლკის პორუჩ. ვ. გორგაძე.

გამომცემელი სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.


ექიმი წულუკიძე. განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგან და ქირურგიულ ავადმყოფების მიღება: დილის 10-დან 11 საათამდე და საღამოს 5-დან—6-დე. ტელ. 11—35. 2001

მესამე მარშრუტის ტრამვაის ვაგონში დავკარგე ქართულ უნივერსიტეტისაგან მიღებული
საუნივერსიტეტო წიგნაკი.
მნახველს ვსთხოვ შემოიტანოს ჩემს ბინაზე—გოლოვინის პროსპექტი, 6. ჯილდოს მიიღებს. პატივ სცემით აპოლონ ფირცხალავა. 999

ექიმი ვ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 1123

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკაში ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულობით. 3 საათიდან ნაშუადღევის $5^1/_2$ საათამდე. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკზდის ქ. № 19. 992

ექიმ ა. გ. ლევინშტეინის კაბინეტები წამლობა რენტგენის სხივები და ელექტრონით. მიიღება ავადმყოფები შინაგან, ნერვიულ და ქალთა სნეულობით. რენტგენის სხივებით და ელექტრონით წამლობა წინასწარი ჩაწერით. სპეციალურად გულის, ფილტვების, კუჭის და ჭლექების ავადმყოფობა. ავადმყ. მიიღ. 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქ. № 5, ბინა № 3. ტელ. 12—46. ავადმყოფს თარჯიმანი უნდა ახლდეს თან. 991

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო-ხახაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხანგრძლივ დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ერევნის მოედნის ახლო ტელ. 14—74. 5087

ექიმი ლ. ა. სარალიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 1290

ექიმი კბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი პავლე არდაზიანი დაბრუნდა იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—2 მელიქოვის ქ. 12, მე-9 უბანი. 01 № 14

ექიმი ი. დ. ჯაფარიძე. შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილის 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის № 7 ტელეფონი 17—49. 11

ექიმი ი. ი. ბერიშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეზაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირობით მხოლოდ დით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 3 1304

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 903

ექიმი ი. ძ. აბაქელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ № 26. ტელ. 5—35. 1270

თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დონსკოისა
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ვ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. ბ. აგასაროვი: $9^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ს. გ. ავეტისიანი—9—11 საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ-გრიგორიანცი. 1—2 ს. შინაგანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი.

საბუღალტრო კურსები.
ნ. ვ. აბრამიანისა
ორივე სქესისათვის (არსებობს 1895 წლიდან) კურსები ოთხ-თვიანია, მეცადინეობა ყოველ-დღე კურსებთან იხსნება საგანგებო განყოფილება იმათვის, ვისაც ჰსურს ბუღალტერია ქართულ ენაზე შეისწავლოს. თხოვნები მიიღება აგვისტოს 20-დან სწავლა დაიწყება 1918 წლის სექტემბრის 15-დან. პროგრამისა და წესდების მიღება შეიძლება კურსების კანცელარიაში: ტფილისი, ნიკოლოზის ქ. № 22, ტელ. 7—44.

ფრანგული ენა
მადმუაზელ შოპლენი ჰხსნის თავის ბინაზე ქ. ბროსსე № 9, ენკენისთვის 20 დან საცალკეო სარბიელს (კურსს) სწავლა-მეცადინეობისა, პრაქტიკული ვარჯიშობისა ჯგუფად, დამწყობ მოსწავლეთათვის 7-დან 12 წლოვანობისა, რომელთაც ჰსურსთ ამ ენის შესწავლა მოკლე ხანში და კარგად. გაკვეთილი დაიწყება ყოველ-დღივ 5 საათიდან 6 მდე. მსურველს შეუძლიან ჩაეწეროს ყოველ-დღივ 5 დან 7 საათამდე. სწავლის ფასი, თვეში 30 მან. და წინდაწინ. ფრანგულის გაკვეთილები: თეორია, ვარჯიშობა, მწიგნობრობა (ლიტერატურა) სარბარი, დაწესებულებათა გეგმა (პროგრამმა), განმეორება. 983

მიწათმოქმედების სამინისტროსაგან
მიწათმოქმედების სამინისტროსთან არსდება მოკლე ვადიანი კურსები ტყის მოხელეთა (ლესნიჩთა). თანაშემწეების მოსამზადებლათ მეცადინეობა იქნება საღამოობით, პირველი დახკარგვით სწავლის დამთავრება კურსებზე უნდა მოხდეს სამ თვეში. სწავლის ფასი 300 მანეთია.
კურსებზე მეცადინეობა იქნება შემდეგ საგნებში: ბოტანიკა დენდროლოგიით, ნიადაგის შესწავლა, მეტეოროლოგია (მოძღვრება ბუნების მოვლენებზე), მეტყეობა, სატყეო ტაქსაცია (ნიხრ-დება), სატყეო ტეხნოლოგია, ტყის ავადმყოფობანი და მავნე ... სატყეო კანონ-მდებლობა და სხვა. კურსებზე მეცადინეობა დაიწყება 20 სექტემბერს. მსმენელებათ მიიღებიან საშუალო სასწავლებლებში პირველ ექვს-კლასთა დამთავრებულნი და აგრეთვე ყველა ისინი, ვინც თავის მუყაითი და გამოცდილი პრაქტიკული მოღვაწეობით სატყეო საქმეში თავი გამოიჩინა და ახე თუ ისე უწყებათა ყურადღება დაიმსახურა ქართული ენის ცოდნა, როგორც ზეპირის ისე წერითი სავალდებულოა, ლექციების კითხვა იქნება რუსულ ენაზე. თხოვნები (ორ მანეთიან საგერბო მარკებით) მიიღება ცენტრალურ სადგურ მამულთა გამგეობის თავმჯდომარესთან (პეტრე დიდის ქუჩა № 22). 1315